აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№12 (25.036) შაბათი, 4 - 6 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ევროკომისიამ გამოაქვეყნა მორიგი ანგარიში, რომელიც აფასებს ევროკავშირთან საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების ხარისხს და, ასევე, ჩვენი ქვეყნის მიერ ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის ფარგლებში გატარებული რეფორმების ეფექტიანობას, - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა. მისი თქმით, „ანგარიში, როგორც მოსალოდნელი იყო, არის საკმაოდ პოზიტიური და ევროკომისიის მიერ აღიარებულია საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი თითქმის ყველა სფეროში“.

* * *

ვენეციის კომისია საქართველოს პარლამენტს ვერ და არ ჩაანაცვლებს - იქაც არიან ადამიანები, ექსპერტები, რომლებსაც აქვთ მეტი ან ნაკლები კვალიფიკაცია და შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს პარლამენტში როგორც დეპუტატების, ისე აპარატის ნაწილში, არანაკლები და ხშირად მეტი კვალიფიკაცია აქვთ იურისტებს, - განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, რითაც უპასუხა კითხვას, თუ რამდენად გაიზიარებს მმართველი გუნდი სრულად ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე. მისი თქმით, დაელოდებიან კომისიისგან ქართული და უკრაინული ვერსიების შეფასებას და ამის მიხედვით გადაწყვეტენ, როგორ არის შესაძლებელი პროექტის მოდიფიცირება.

* * *

სახელმწიფო დეპარტამენტმა ნინო ლომჯარია ბანგლადეშის, კამბოჯის, ჰონდურასის, მავრიტანიისა და ტოგოს წარმომადგენლებთან ერთად გამოარჩია და საგანგებო პრიზით დააჯილდოვა, - ამის შესახებ საუბარია მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებაში. „ლომჯარია, მთელი თავისი შეგნებითა და საქმიანობით არა სახალხო, არამედ აგენტურის დამცველი იყო. სახელმწიფო დეპარტამენტის ამ აქტით კიდევ ერთხელ გაცხადდა ამერიკული ხელწერა. ისინი არა მხოლოდ არ ემიჯნებიან, არამედ დაუფარავად გამოხატავენ თანადგომას აგენტურისა და ომის პარტიის წარმომადგენლების მიმართ,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

მადლობას ვუხდით ევროკომისიას საქართველოს დადებითად შეფასებისთვის. მოვუწოდებთ ხელისუფლებას და ოპოზიციას, ისევე შეუერთდნენ ევროკავშირის ღირებულებებს, როგორც ქართველი ხალხი, - განაცხადა პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ ევროკომისიის ანგარიშთან დაკავშირებით. მისი თქმით, ქვეყნის ტექნიკური წინსვლა საყურადღებოა, თუმცა პოლიტიკური პროგრესი ჩამორჩება.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარის მთავრობა ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 72 ოჯახს ფინანსურად დაეხმარება

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა ხანძრისა და სტიქიის შედეგად სხვადასხვა პერიოდში დაზარალებული 72 ოჯახის დახმარების საკითხი განიხილეს

კომისიას შუამდგომლობები აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიების ხელმძღვანელებმა წარუდგინეს. კერძოდ, განიხილეს როგორც ხანძრის შედეგად დაზარალებული - 8, ისე სტიქიური პროცესების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების საკითხი.

- შერეული სამთავრობო კომისიის მორიგ სხდომაზე განვიხილეთ 70-ზე მეტი ოჯახის დახმარების საკითხი. კომისიის რეკომენდაციას დასამტკიცებლად უახლოეს დღეებში წარვუდგენთ მთავრობის თავმჯდომარეს. ფინანსურ დახმარებას ხანძრის შედეგად დაზარალებული 8 ოჯახი - 142 539 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული 63 ოჯახი - 568 471 ლარის ოდენობით მიიღებს. სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა 711 010 ლარი, - განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ.

სხდომას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, შერეული სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ნინო ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა. სხდომას ესწრებოდნენ მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მუნიციპალიტეტების მერები და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდება.

- აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან სხდომაზე წარმოდგენილი იყო როგორც ხანძრით, ისე სხვადასხვა გეოლოგიური პროცესების შედეგად დაზარალებული ოჯახების შესახებ საკითხები. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომ ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გაეწევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან დახმარება 20 000 ლარის ოდენობით, ხოლო გეოლოგიური პროცესების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გაიცემა დახმარება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ასევე, თითოეულ ოჯახს, რომელთა სახლები სრულად ექვემდებარება აღდგენა-გამაგრებას, გაეწევა 15 000 ლარის დახმარება, - გვითხრა მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ.

2022 წელს აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული - 158 ოჯახი, გამოიყო მილიონ 924 153 ლარი.

ჯაბა ფუტკარაძე ყაზახეთის ელჩს შეხვდა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ საქართველოში ყაზახეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მალიკ მურზალინთან შეხვედრა გამართა

შეხვედრაზე საუბარი რეგიონებს შორის სავაჭრო - ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას შეეხო.

ელჩმა ყაზახეთში აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის და ზოგადად ტურიზმის განვითარების მიმართულებით, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მზაობა გამოთქვა.

ჯაბა ფუტკარაძემ აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე, ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბახტაძე და ყაზახეთის საპატიო კონსული ბათუმში გიორგი აბაშიძე ესწრებოდნენ.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო თვალის ბადურის დაავადებების მკურნალობას დააფინანსებს

2

შეძლებენ თუ ვერა კერძო ბაღები ავტორიზაციის გავლას?

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმმა ბიზნესფორუმს უმასპინძლა

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

„საქართველოს ბანკის" მხარდაჭერითა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SME) ორგანიზებით, ბათუმში ბიზნესფორუმი გაიმართა, რომელსაც როგორც კერძო, ასევე სხვადასხვა კომპანიისა თუ საჯარო უწყების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- დღევანდელი ფორუმი გვაძლევს შესაძლებლობას, განვიხილოთ და ვიმსჯელოთ, თუ როგორ გავაფართოოთ ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს ბიზნესინდუსტრიას. პირველ რიგში, მსგავსი ფორუმების გამართვა უმნიშვნელოვანესია როგორც ბათუმისთვის, აგრეთვე კერძო სექტორსა და საჯარო უწყებებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და დამყარებისთვის. ქალაქის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარება დაკავშირებულია სწორედ კერძო სექტორის ჩართულობასა და მონაწილეობასთან, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა. მან ფორუმის მონაწილეებს ბათუმში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე მიაწოდა ინფორმაცია.

- ბათუმი ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქალაქად რჩება, საინვესტიციო გარემოთი და ეკონომიკური შესაძლებლობებით დაინტერესება დღითი დღე იზრდება. ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელებისთვის ბათუმში მდგრადი საინვესტიციო გარემოა, რაც ხელს უწყობს ქალაქის ეკონომიკურ ზრდას. მდგრადი ეკონომიკური ზრდის დადებითმა დინამიკამ და საპრივატიზებო-საინვესტიციო გარემოს შექმნამ მკვეთრად გააუმჯობესა ეკონომიკური აქტივობები, ბიზნესის განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები. აღსანიშნავია პროექტის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ფარგლებში, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელობაც. ამ ინიციატივის მიზანია მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, რაც გულისხმობს მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროექტის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი ბათუმის მერიას, UNDP-სა და GITA-ს შორის ქალაქში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით და რეგულარულად იმართება სტარტაპ ღონისძიებები. ამ მიმართულებით დამყარებულია თანამშრომლობა კერძო სექტორთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის დაფინანსებით, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით გამოყოფილი 225 ათასი ევრო ბათუმის მერიამ კონკურსის საშუალებით მოიპოვა. ბათუმის განვითარების კუთხით, ასევე, უდიდესი ადგილი უჭირავს ტურიზმს, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ბოლო წლების განმავლობაში განვითარების დინამიკა საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაზეც ბათუმში განხორციელებული პროექტები, ტურისტებისა და საერთაშორისო ფრენების გაზრდილი რაოდენობა მიუთითებს. ჩვენ ორიენტირებულები ვართ, ხელი შევუწყოთ ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და გავზარდოთ კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

ფორუმზე მოხსენებით წარსდგნენ საქართველოს ეროვნული ბანკის, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში", „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBR)", „საქართველოს ბანკის", აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია „Loialte"-ს წარმომადგენლები.

ფორუმზე განიხილეს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიებასა და ამ მიმართულებით ინფორმირებულობასთან დაკავშირებული საკითხები, იმსჯელეს ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო თვალის ბადურის დაავადებების მკურნალობას დააფინანსებს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წელს დაიწყო თვალის ბადურის მძიმე დაავადებების ინტრავიტრეალური მკურნალობის დაფინანსება ახალი თაობის ანტიანგიოგენური მედიკამენტებით. პროგრამის ბენეფიციარები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოქალაქეები არიან.

პროგრამის მიზანია თანამედროვე მკურნალობის სერვისებზე პაციენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირებას, მხედველობის ფუნქციის და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

პროგრამის პირველ მოსარგებლეებს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე კლინიკა „საგიტარიუსში" შეხვდნენ.

- სპეციალისტების რეკომენდაციითა და უმაღლესი საბჭოს ჯანდაცვის კომიტეტის მხარდაჭერით, მიმდინარე წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო თვალის ბადურის ძვირად ღირებული, მაღალეფექტური ანგიოგენეზური მოქმედების პრეპარატების დაფინანსება. ამ ეტაპზე, პროგრამით სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები და

200 000 სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, მომდევნო პერიოდისათვის ჩვენ ვგეგმავთ პროგრამის ბენეფიციართა გაფართოებას, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს მედიკამენტების ღირებულება სრულად უფინანსდებათ. პროგრამა ვაუჩერული მეთოდით ხორციელდება. ასევე, პაციენტს აქვს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლება. მოსარგებლე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის, ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

რომელი სავალდებულო საგანი დაემატებათ მეორეკლასელებს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, ჭადრაკის საგნის სწავლა პირველის შემდეგ, მეორე კლასშიც სავალდებულო იქნება. მიხეილ ჩხენკელის ინფორმაციით, აღნიშნული ვალდებულება იმ სკოლებში განხორციელდება, სადაც შესაბამისად მომზადებული მასწავლებელი იქნება

მინისტრმა ასევე დაამტკიცა შეცვლილი საათობრივი ბადე, რომელიც გულისხმობს სავალდებულო საგნად მათემატიკის სწავლებას პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ხოლო ჭადრაკის სწავლებას პირველი და მეორე კლასებისათვის. აღნიშნულმა ცვლილებებმა მშობლებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. ნაწილი მიიჩნევს, რომ საგნები კი არ უნდა დაემატოს დაწყებით კლასებში, არამედ უნდა შემცირდეს, რათა მოსწავლეებისთვის სკოლა არ გახდეს სივრცე, სადაც იღლებიან, არასასიამოვნოდ გრძნობენ თავს.

- არ ვამბობ, რომ ჭადრაკის სწავლა ცუდია, პირიქით, ვიცი, რომ ის ავითარებს ბავშვის გონებას, მაგრამ პირველი კლასისთვის, ვფიქრობ, ზედმეტია. ბავშვი დაიბნა ამდენი გაკვეთილის მოსმენა-მომზადებაში. მიმაჩნია, რომ პირველ კლასში სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ იმაზე, რომ დასაწყისშივე ბავშვისთვის სკოლა ასოცირდებოდეს სიხარულთან, დადებით ემოციებთან. კვირაში სამჯერ ხუთი და ექვსი გაკვეთილი პირველკლასელისთვის, ყველა მშობელი დამეთანხმება, რთულია. ჩემი შვილი უკვე მეუბნება, რომ იღლება, ისიც გამომიცხადა, აღარ მინდა სკოლაში სიარულიო. საგნების დამატება კი არა, განათლების სისტემა და მიდგომებია შესაცვლელი. უმჯობესია, სამინისტრომ აღნიშნულზე იფიქროს, - განაცხადა პირველკლასელის მშობელმა ლამზირა მელაძემ

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მშობელთა აზრი ორად იყოფა, არიან ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მინისტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, ერთმა მშობელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: „ჭადრაკის სწავლაში ცუდი არაფერია, თუ ნონა გაფრინდაშვილები და გარი კასპაროვები ვერ გამოვლენ ჩვენი შვილები, სწორად ფიქრს მაინც ისწავლიან".

აღნიშნული ცვლილება 2023 წლის 15 სექტემბრიდან შევა ძალაში.

საინფორმაციო შეხვედრები – მშობლის ინსტიტუტის გაძლიერებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სოციალური საწარმო „თავისუფალი სივრცე" საინტერესო პროექტს იწყებს - ახალშობილთა და მოზარდთა მშობლებისთვის თვეში ორჯერ, კვირაობით სალონური შეხვედრები მოეწყობა, რომელზეც პედიატრებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს მოიწვევენ

აღნიშნული აქტივობა „თავისუფალ სივრცეში" 10 თებერვლიდან დაიწყება და 15 მაისამდე გაგრძელდება.

„სოციალური სივრცის" დამფუძნებელს **ნინო ჩხაიძეს** გავესაუბრეთ.

- ქალბატონო ნინო, როდის შეიქმნა „თავისუფალი სივრცე" და რა მიზანს ემსახურება ახალი პროექტი?

- სოციალური საწარმო 2017 წლიდან დღემდე უწყვეტად მუშაობს. მისი მისია ჯანსაღი ინკლუზიური მიდგომების დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის, მათი ოჯახის წევრების დასაქმების ხელშეწყობაა. კაფე „თავისუფალ სივრცეში" პერიოდულად სიახლეებია როგორც მენიუს განახლების კუთხით, ისე სოციალური ღონისძიებების თვალსაზრისით. ამ სივრცეში ხშირად ეწყობა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები, ტრენინგები, საჯარო ლექციები, ასევე, იმართება სალონური საღამოები და მუსიკალური ღონისძიებები. ახალი პროექტი მშობლის ინსტიტუტის გაძლიერებას ემსახურება. თვეში ორჯერ, პროფესიონალი ფსიქოლოგები, პედიატრები, სოციალური მუშაკები, სხვა მოწვეული სტუმრები ახალშობილთა და მოზარდების მშობლებისთვის საინფორმაციო შეხვედრებს ჩაატარებენ. „თავისუფალი სივრცის" გუნდს მიაჩნია, რომ აუცილებელია მშობლებისთვის დასაწყისიდანვე სწორი ინფორმაციის მიწოდება, თანამედროვე „გაიდლაინების" პოპულარიზაცია და მათი მაღალი ჩართულობა შვილების წინაშე არსებული გამოწვევების პრევენციაში.

როგორ გავუმკლავდეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენი დროის თანმდევია?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და ციფრული გამოწვევების წინაშე დგას. იწყება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომელიც მრავალი დრამატული მოვლენის ფონზე რთულად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე როგორ გამოიყურება საქართველო და სამომავლოდ რაა უმჯობესი? სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ამ ინტერვიუში დღევანდელი ნომრის სტუმარი, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი (ლინგვისტიკა-დიპლომატიურ დისკურსში) **ლაშა ბოლქვაძე,** რომელიც ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

- დღევანდელი მსოფლიო ახალი რეალობის წინაშეა, ესაა პოლიტიკური, ეკონომიკური და ციფრული გამოწვევები, როგორ ვითარდება მოვლენები და რაა გამოსავალი?

- რეალობა ისაა, რომ ჯერ პანდემიამ და ამას დამატებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა გარკვეული პრობლემებისა და საფრთხეების წინაშე დაგვაყენა. ვირუსმა საკმაოდ მოუმზადებელ მდგომარეობაში გამოგვიჭირა, ხოლო ომმა რთულ და არასასურველ სიტუაციაში ჩაგვაგდო როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის, ისე ეკონომიკური კუთხით. ეს გლობალიზაციის პროცესია, რომელსაც ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები.

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ ამ პროცესს შეუძლია პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისის შექმნა და ამ კრიზისის ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში გავრცელება. სწორედ ახლა, სამწუხაროდ, ამ მდგომარეობაში ვართ. ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ დღევანდელი ბალანსი და ვეცადოთ არსებულ პრობლემებთან ერთობლივი ძალებით გამკლავებას. უნდა გავითვალისწინოთ და გამოვიჩინოთ სიფრთხილე ამა თუ იმ ღონისძიების გატარებისას, შედეგად კი მივიღებთ მაღალ დონეს, უკეთეს ეკონომიკას, კეთილდღეობის ზრდას და არსებული ვითარების გაუმჯობესებას. ვფიქრობ, რომ ეს იქნება რეალური გამოსავალი გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად.

- პანდემია ჩაცხრა, მისმა გამოწვეულმა კრიზისმა დიდი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოზე, რა უნდა ვისწავლოთ ამით?

- მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტული დარგები, განსაკუთრებით, უსაფრთხოება, არ უნდა იყოს დროებითი, არამედ ფუნდამენტური. კარგი იქნება ხელოვნური ინტელექტის და ჯანდაცვის ყველა მიმართულების განვითარება, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის წინა პლანზე წამოწევა.

- რუსეთ-უკრაინის ომი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თვალსაზრისით. ამ მხრივ პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით და როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი უკრაინის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში?

- როგორც მოგეხსენებათ, საქართველო პატარა ქვეყანაა და მოქცეულია დიდ ძალებს შორის. შესაბამისად, არ არის დაცული. ასეთ ფონზე საქართველო ყოველთვის უნდა იყოს ფრთხილად. უკრაინის მოკავშირეობა და მასთან მეგობრობა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მასზე ასახული დადებითი და უარყოფითი შედეგები ჩვენზეც იქონიებს ზემოქმედებას. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო რუსეთის ინტერესების სფეროში. უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში, ცხადია, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ახალი შესაძლებლობები გამოიკვეთება რუსეთისგან თავდახსნის კუთხით. ამ მხრივ დასავლეთმა უფრო მეტი ზემოქმედება უნდა მოახდინოს რუსეთზე, რათა მან მორიგი აგრესია არ განახორციელოს სხვა სახელმწიფოს მიმართ. უკრაინის დამარცხების შემთხვევაში კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი რუსეთის ინტერესი უფრო გაიზრდება.

- ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან - ჩვენი ქვეყნის ობიექტური რეალობა ამ ფრაზას ხომ არ გვახსენებს?

- ჩვენი ქვეყნის განვითარებას გარემო ფაქტორები და ინტერესები საგრძნობლად უშლის ხელს. მე იმედი მაქვს, რომ ეს ფრაზა წარსულში დარჩება და ჩვენი სახელმწიფო მუდმივად განვითარდება.

- ცვლილებები დროის მოთხოვნაა და ამ დიალექტიკურ კანონზომიერებას რა ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზები ხვდება გზაზე მთელ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც?

- ცვლილებები ყოველთვის არის საჭირო და არა რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. ამ ეტაპისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება დავასახელოთ რუსეთ-უკრაინის ომი, რომელსაც თან ახლავს ცვალებადი, არაპროგნოზირებადი პროცესები, რომლებიც ქვეყნის შიდა და გარე დიპლომატიურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ახდენს გავლენას.

- დაცარიელებული სოფლები და ჩვენი მოქალაქეების უცხოეთში გადინება რა გავლენას ახდენს ერის მომავალზე?

- მიგრაცია საქართველოს განვითარების ყველა ეტაპის თანმდევი პროცესი იყო და დღესაც გრძელდება. სოფლებიდან მოსახლეობის გადინება შეუქცევადი პროცესი გახდა, ეს სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია გვაფიქრებს. საქართველოში სოფლები ცარიელდება. რეალობა საგანგაშოა - ეს ფაქტია. ამას ხელისუფლებაც ადასტურებს, რის გამოც შემოიღეს „მთის კანონი“. მიუხედავად მცდელობისა, მიგრაციისთვის ხელის შეშლა ვერ ხერხდება. პრობლემების შესამცირებლად საჭიროა კვალიფიციური კადრების შენარჩუნება, ამისთვის კი მათ სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებისთვის სამშობლოში დაბრუნების წახალისება და ხელშეწყობა.

- როგორ შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყოფადობა, კარგი ტრადიციები და გავძლიერდეთ მენტალურად? როგორ დავძლიოთ გაუცხოება და აგრესია, რომლებმაც ბოლო დროს ჩვენშიც იმატა?

- ეროვნული თვითმყოფადობა და ტრადიციების შენარჩუნება დამოკიდებულია ჩვენს ეროვნულ სიძლიერეზე. არცერთ ჩვენგანს არ აქვს ამ ფასეულობის დაკარგვის უფლება, ვინაიდან ერთა თვითმყოფადობის უმთავრესი ფაქტორი სწორედ კულტურული, ტრადიციული კომპონენტებია, ამის გაქრობისკენ სწრაფვამ კი შეიძლება მძიმე პრობლემების წინაშე დაგვაყენოს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა. მნიშვნელოვანია, რომ ქართველებს გვქონდეს საერთო იდეა და მისი განხორციელებისთვის არ დავიშუროთ ძალისხმევა.

- საზოგადოებას არანაკლებ აწუხებს კულტურული მემკვიდრეობა და კულტურულ ღირებულებათა დევალვაციაც, რას ფიქრობთ?

- როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს: „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია“. კულტურული მემკვიდრეობა და ღირებულებები ქვეყნის ინდივიდუალიზმს, მის უნიკალურობას უსვამს ხაზს, ამიტომაა მნიშვნელოვანი ამ მემკვიდრეობის და ღირებულებების დაცვა და შენარჩუნება, რაც ჩვენს განვითარებას უწყობს ხელს.

- რომელი ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე ვართ და რისი მოგვარებაა თანამედროვე საქართველოში ყველაზე აუცილებელი?

- საქართველოს მოსახლეობა მრავალფეროვანია. ეს გამოიხატება რელიგიური, მულტიკულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ხშირ შემთხვევაში ვხვდებით უთანასწორობას, რაც მოსახლეობას უქმნის პრობლემებს, შედეგად ვიღებთ კონფლიქტურ და პოლარულ გარემოს. გამოსავალი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, თანაბარი პირობების შექმნა და ადამიანის უფლებების დაცვაა.

- ციფრული გადატვირთვა, ჩვენი საუკუნის ეს ნიშან-თვისება როგორც განვითარების პერსპექტივა და გამოწვევა და მისი თანხვედრა ადამიანურ რესურსებთან...

- ტექნოლოგიური განვითარება საზოგადოების მომავლისთვის აუცილებელი კომპონენტია. ეს არის შესაძლებლობები, რომლებიც იძლევა გლობალური კომუნიკაციის საშუალებას. ასევე შესაძლებელი გახდა წარმოების პროცესების და სამუშაო ძალის ავტომატიზაცია. ციფრული სამყარო ძალიან სწრაფად ვითარდება. ამ პროგრესით საზღვრები და ბარიერები შემცირდა. ეს არის ძალა, რომელმაც შეძლო, შეეცვალა და გაექრო ბარიერები ადამიანებს შორის. ადამიანური რესურსების ამოცანების შესასრულებლად მნიშვნელოვანი შუამავლის როლს ასრულებს.

- დაბოლოს, ჩვენი ქვეყნის მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება საქართველოს რა პერსპექტივებს უსახავს და ამ მხრივ პოლარიზებული გარემო რამდენად დამაზიანებელია საქართველოსთვის?

- ჩვენი ქვეყნის მომავალს ვხედავ ევროატლანტიკურ სივრცეში. კანდიდატის სტატუსის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ეს იქნება ახალი პერსპექტივა, უფრო მეტი ინვესტიცია, სტანდარტების ამაღლება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მხარდაჭერის გაზრდა, ჯანდაცვის და სხვა მრავალი ფინანსური, ეკონომიკური, დიპლომატიური ურთიერთობების განვითარება. საქართველოს მიმართ დასავლეთი უფრო დაინტერესებული და მობილიზებული იქნება. რაც შეეხება პოლარიზებას, დღევანდელი პრობლემების მთავარი მიზეზი სწორედ პოლარიზებაა, რაც ქვეყნის განვითარებას საგრძნობლად უშლის ხელს.

> *„ერთა თვითმყოფადობის უმთავრესი ფაქტორი სწორედ კულტურული, ტრადიციული კომპონენტებია, ამის გაქრობისკენ სწრაფვამ კი შეიძლება მძიმე პრობლემების წინაშე დაგვაყენოს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა. მნიშვნელოვანია, რომ ქართველებს გვქონდეს საერთო იდეა და მისი განხორციელებისთვის არ დავიშუროთ ძალისხმევა*

შეხვედრა ბოლაჟმ ორბანთან



საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორ ბოლაჟს ორბანს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს, იმსჯელეს საქართველოსა და უნგრეთის ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. საამისოდ დაიგეგმა ორი ქვეყნის შესაბამისი სამინისტროების შეხვედრა.

ირაკლი ღარიბაშვილსა და ბოლაჟს ორბანს შორის საუბარი ასევე შეეხო ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის თავსებადობის შესახებ ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა დაადასტურა, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს იმსახურებს. ბოლაჟს ორბანმა პრემიერ-მინისტრს საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართ უნგრეთის ურყევი მხარდაჭერა დაუდასტურა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის კაბინეტის უფროსი დორა სივიჩი, უნგრეთის სახელმწიფო მდივნის მოადგილე მარტონ უგროჟდი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდნენ.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო უარყოფენ შვეიცარიული გამოცემა Neue Zürcher Zeitung-ის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უილიამ ბერნსმა, ჯო ბაიდენის სახელით, მოსკოვსა და კიევს შესთავაზა სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას რუსეთისთვის უკრაინის ტერიტორიის 20 პროცენტის დათმობის სანაცვლოდ. თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს პრესსპიკერის მოადგილის შონ დევითის განცხადებით, ინფორმაცია არაზუსტია.

* * *

კიევში ევროკავშირი-უკრაინის სამიტი გაიმართა. მასში მონაწილეობის მისაღებად კიევში ჩავიდნენ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი და ევროკომისრები. „ჩვენი გადაწყვეტილებები კვლავ მტკიცეა. ჩვენ მხარს დაგიჭერთ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე“, - განაცხადა შარლ მიშელმა.

* * *

უკრაინის ტერიტორიების დაპყრობა ვლადიმერ პუტინს დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაფიქრებული. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების „საფრთხე“ კრემლისთვის მხოლოდ მიზეზი იყო, - განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა. მისი თქმით, კიევსა და ბრიუსელს შორის პარტნიორობა კრემლმა გამოიყენა როგორც მიზეზი რუსეთის ტერიტორიის ძალისმიერი გაფართოების დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმის განსახორციელებლად. მისივე განმარტებით, ნატო თავდაცვითი ორგანიზაციაა და უკრაინის პოტენციური წევრობა რუსეთს საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. შოლცი ირწმუნება, რომ ოფიციალური ბერლინი ომის ესკალაციას არ დაუშვებს. „ომი ნატოსა და რუსეთს შორის საშინელი მოვლენა იქნებოდა. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ მსგავსი ესკალაცია არ მოხდეს“, - განაცხადა მან.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოლდოვას ემუქრება. სერგეი ლავროვმა რუსული ტელეარხის ჟურნალისტს კითხვაზე, რომელია ის ქვეყანა, რომელიც შესაძლოა უკრაინის გზას დაადგეს, უპასუხა, რომ ამ როლში მოლდოვას ხედავს. „რაც შეეხება მოლდოვას, იქ საკმაოდ სპეციფიკური მეთოდებით შეძლეს პრეზიდენტის არჩევა, რომელიც ახლა ნატოსკენ მიისწრაფვის. მზად არის რუმინეთთან გაერთიანდეს, ყველაფრისთვის მზად არის“, - განაცხადა ლავროვმა.

* * *

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გენერალური ინსპექტორის ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა. მითითებულ ნომრებზე უკრაინელებს შეუძლიათ ინფორმაცია მიაწოდონ დარღვევებზე, რომელიც ქვეყანაში კორუფციას, თაღლითობას, თანხის გაფლანგვას, სექსუალურ შევიწროებასა და ადამიანებით ვაჭრობას უკავშირდება.

მოამზადა
ია შველიძემ

სამაგალითო – პარტნიორი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის

ნანა აბულაძე 591 98 59 17

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ოფიციალურ ვებგვერდზე, ინსტიტუციური ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით აჭარის უმაღლესი საბჭოს გამოცდილების შესახებ ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდა, სადაც აღნიშნულია, რომ აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნული მიმართულებით გაწეული საქმიანობა, გატარებული ღონისძიებები პარტნიორი ქვეყნებისა და რეგიონებისთვის სამაგალითოა

სრულად გთავაზობთ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალას, რომლის ავტორი აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი ზურაბ ჭურკვეიძეა:

„ღია პარლამენტების ამ ბლოგ-სერიებში ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ღია პარლამენტის გამოცდილებას მსოფლიო მასშტაბით. ღია პარლამენტები წარმოადგენს ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობენ გამჭვირვალობას, ჩართულობას და ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო პროცესში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეგიონი. აჭარის უმაღლესი საბჭო შედგება 21 დეპუტატისგან, რომლებიც წარმოადგენენ დაახლოებით 350 000 მოქალაქეს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ არის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი, საკანონმდებლო ორგანომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ღია მმართველობის ღირებულებების პოპულარიზაციაში. საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) 2011 წელს და მას შემდეგ შეიმუშავა OGP-ის ოთხი სამოქმედო გეგმა. ამ ვალდებულების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოც ჩაერთო ღია მმართველობის პარტნიორობაში. 2020 წელს უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - ღია მმართველობის საბჭო - როგორც ინსტიტუციური მექანიზმი რეგიონული საკანონმდებლო ორგანოს ღიაობისა და გამჭვირვალობის ხელშესაწყობად. აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობის საბჭომ თავის საკონსულტაციო ჯგუფში თანამშრომლობისთვის მოიწვია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. უმაღლესმა საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა მიიღეს 2020-2021 წლების ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა 15 ვალდებულებით, რომელიც ფოკუსირებულია ოთხ მთავარ მიზანზე: მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება და დაწესებულების ანგარიშვალდებულ-

ების გაზრდა. ამ ვალდებულებების უმეტესობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის - „ინტელექტის“ ინიციატივების შედეგად მიიღეს.

უმაღლესმა საბჭომ თავიდანვე აღიარა ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. საკანონმდებლო ორგანოში ღია მმართველობის მხარდასაჭერად დაიწყო ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება უფრო ეფექტური საჯარო დაწესებულების ჩამოსაყალიბებლად - შეიქმნა ღიაობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული - საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევს ღია მმართველობის ვალდებულებებისა და ინიციატივების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებების შესრულების მცირე ნაწილი გადაიდო, ძირითადად, ფინანსური რესურსების გამო, ვალდებულებების უმრავლესობა წარმატებით შესრულდა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, უმაღლესმა საბჭომ შექმნა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი, სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისათვის უმაღლესი საბჭოს ღონისძიებებისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. წელს იგეგმება მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ლიფტითა და პანდუსით აღჭურვა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, ასევე, შეიქმნა პეტიციის ელექტრონული და წერილობითი სისტემა. უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის რეფორმამ შესაძლებელი გახადა ტექნოლოგიური სიახლეების და შიდა სისტემური ცვლილებების დანერგვა - უმაღლეს საბჭოს შენობაში ექსკურსიების დაგეგმვა ელექტრონულად, მედიის აკრედიტაციის სისტემა, აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომების ინტერნეტით პირდაპირი ტრანსლაცია, საჯარო დოკუმენტების ონლაინ გამოქვეყნება დასამუშავებელ ფორმატში და ა.შ. აღნიშნული ინიციატივები განხორციელდა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით. დღეისთვის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა დაასრულეს 2022-24 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს საზოგადოების საჭიროებებს და ორიენტირებულია კიდევ უფრო მეტ ღიაობაზე, ხელმისაწვდომობასა და ინსტიტუციურ განვითარებაზე.

ინსტიტუციური ღიაობის რეფორმის დანერგვის პროცესში, უმაღლესმა საბჭომ, სამოქმედო გეგმასთან ერთად, განახორციელა კონკრეტული ინიციატივები. მაგალითად, გაზარდა ძალისხმევა გენდერული თანასწორობის მისაღწევად დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მან, ასევე, შეიმუშავა ინსტიტუციური და საკომუნიკაციო სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები 2021-2024 წლებისთვის, რაც გახდა მოდელი სხვა რეგიონული საჯარო უწყებებისთვის დაგეგმვისა და ინსტიტუციური ეფექტურობის თვალსაზრისით“.

ახალი პროგრამები წარადგინეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში 2023 წელს სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროექტები წარადგინეს. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროგრამების და სიახლეების შესახებ ისაუბრა

- პროგრამის მიზანია, სოფლად მცხოვრებ ფერმერთა, მათ შორის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. პროგრამა ითვალისწინებს როგორც არსებული ბიზნესის გაფართოება-მოდერნიზებას, ასევე, ახალი ბიზნესის დასაწყებად ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას, - გვითხრა ზაზა შავაძემ.

წარდგინებებს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამსწრეთ პროგრამების ელექტრონული ვერსია სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა გააცნეს. აღინიშნა, რომ 2023 წელს სამინისტრო განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რისთვისაც მობილიზებულია 4 904 500 ლარი. გაგრძელდება აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 199 600 ლარით. მიმდინარე წლისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგროსერვისის განვითარება რეგიონში, რომლის დაფინანსება შეადგენს 4 436 128 ლარს. განახლდა ქვეპროგრამა - „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა“. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება

სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება, რომლის დაფინანსებისთვის დაიხარჯება 1 505 510 ლარი. სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი დარგია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ტყის მდგრადი მართვა, რისთვისაც გამოყოფილია 13 545 172 ლარი.

პროგრამებთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერებმა ომარ ტაკიძემ, ვახტანგ ბერიძემ, ფერმერებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

აღდგება რუსეთთან ფრენები?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

მაშინ, როცა ბევრი დასავლური ქვეყანა, ასევე, შეერთებული შტატები კრძალავს რუსული თვითმფრინავების საკუთარ საჰაერო სივრცეში შესვლას, რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენების განახლებაზე საუბარი ჩვენი ქვეყნის იმიჯს ერთიორად დააზარალებს. როგორც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთთან ფრენების აღდგენას ამჯობინებდა გაეგო, რომ რუსეთს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ჯარები გაჰყავს.

- საუკუნეების განმავლობაში რუსეთი ცდილობდა ქართული იდენტობის, ენის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის უარყოფას. ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ამჯობინებდა გაეგო, რომ რუსეთს

თავისი ჯარები გაჰყავს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან და საბოლოოდ ასრულებენ 2008 წლის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვიდრე პირდაპირი ფრენის აღდგენის შესახებ მოესმინათ. არ მაქვს ინფორმაცია, რომ მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს საქართველოში დაბრუნება უჭირთ, თუ ამის სურვილი აქვთ, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ბევრი რუსი ჩამოდის ამ ქვეყანაში, - განაცხადა კელი დეგნანმა.

პირდაპირი ფრენების აღდგენის წინააღმდეგია საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. მისივე თქმით, იმ დროს, როცა ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყანა სიტყვით თუ საქმით მაქსიმალურ სოლიდარობას უცხადებს უკრაინის თავდადებულ ბრძოლას, საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის მთავრობისა და მმართველი პარტიის პოზიცია გაუგებარია. პრეზიდენტმა მთავრობას მოუწოდა, შეისწავლონ რუსეთის მოქალაქეების საქართველოში ამ რაოდენობით შემოდინების საკითხი.

- როგორც არაერთხელ უკვე მოვუწოდე მთავრობას, აუცილებელია, სერიოზულად იყოს შესწავლილი რუსეთის მოქალაქეების შემოდინების საკითხი, ყველა თავისი სოციალური და პოლიტიკური პარამეტრით, რათა საზოგადოებას გაუჩნდეს განცდა, რომ მისი ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოება გათვალისწინებული და დაცულია, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ფრენების აღდგენაში პრობლემას ვერ ხედავს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მისივე განცხადებით, ფრენები მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისათვის.

- ვიღაც ამბობს, რომ სანქციები და სასჯელები უნდა მოგვიხსნას, ვიღაც ამბობს, რომ კომპანიები უნდა დაისაჯონ. ეს ჩვენზე ხომ არ არის დამოკიდებული?! არც კომპანიების დასჯა და არც სასჯელების მოხსნა არ არის ჩვენი გადასაწყვეტი საკითხი. ჩვენ ჩვენი განცხადება გავაკეთეთ ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით. ჩვენი პოზიცია არის მარტივი - ეს იყო სანქცია, რომელიც თავის დროზე, 2019 წელს, საქართველოს დაუწესა რუსეთმა, რამაც, რა თქმა უნდა, დაამძიმა ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა. შეგახსენებთ, რომ

იხ. მე-7 გვ.

შეძლებენ თუ ვერა კერძო ბაღები ავტორიზაციის გავლას?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

კერძო ბაღები, ისევე, როგორც საჯარო, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცევიან. იგულისხმება კვების რაციონის, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის კონტროლი. მოლოდინია, რომ რეფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს კერძო ბაღების ნაწილი ვერ დააკმაყოფილებს

ასეთ შემთხვევაში, მათ დარღვევებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა მიეცემათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფუნქციონირებას შეწყვეტენ. მაგალითად, დაიხურება ის კერძო ბაღი, რომელიც კორპუსის ბინაშია გახსნილი და საკუთარი ეზო არა აქვს. როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, შემუშავებულია ავტორიზაციის დროებითი, 4 მთავარი გასათვალისწინებელი წესი - კვების, ინფრასტრუქტურის, სააღმზრდელო პროგრამის და ოჯახის ჩართულობის ნაწილი.

პროექტის თანახმად, ბაღებს პირველ ჯერზე ექნებათ მოსამზადებელი ეტაპი, 1-დან 2 წლამდე პერიოდი. ეს დრო საკმარისია თვითშეფასებისთვის, რათა კერძო ბაღებმა გაარკვიონ, რომელ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებენ და რა დრო დასჭირდებათ პრობლემის მოსაგვარებლად.

ავტორიზაციის მინიჭება 2025 წლიდან დაიწყება, მანამდე კი ბაღებს ფუნქციონირება არ შეეზღუდებათ და პარალელურად, ხარვეზების გამოსწორებაზე მოუწევთ ზრუნვა. ავტორიზაციის განრიგი მომავალ წელს მომზადდება. „ფაქტობრივად, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგანაც ქვეყანაში ამ დრომდე არ განხორციელებულა ყველა ბაღის ერთიან ჭრილში, ერთიან სტანდარტებთან მიმართებით შეფასება. ბაღების თვითშეფასება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ორი კუთხით: პირველი ის, რომ თვითონ ბაღი დაინახავს საკუთარ გამოწვევებს, საკუთარ მიღწევებს, შესაბამისად, ეს იქნება მცდელობა, რომ მომავალი საქმიანობა უკეთესად დაგეგმონ. უკვე ეცოდინება საითკენ უნდა მიმართონ ძალისხმევა, ხოლო მეორე მხრივ, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეგროვებული მონაცემების ანალიზი სისტემას მისცემს საშუალებას, ობიექტურად დაინახოს, რა გამოწვევები და მიღწევებია და დაგეგმოს მხარდამჭერი აქტივობები“, - აღნიშნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნინო ხითარიშვილმა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების შესახებ კანონის შემუშავების პროცესში მთავრობასთან აქტიურად თანამშრომლობდა გაეროს ბავშვთა ფონდი. UNICEF-ში აცხადებენ, რომ ინფრასტრუქტურისა და კვების სტანდარტის გარდა, გადამწყვეტი როლი ენიჭება აღმზრდელად დაქირავებული პირის კვალიფიკაციასაც, რომელმაც უნდა შეძლოს ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით შესაბამისი გარემოს შექმნა. „მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ამ ბაღებში ჰქონდეთ ყველა ის პირობა, რაც მათი განვითარებისთვის იქნება საჭირო. სავალდებულოა აღმზრდელი პედაგოგის კვალიფიკაცია, ეს არის გადამწყვეტი იმიტომ, რომ პედაგოგს უნდა შეეძლოს ამ ახალი მეთოდებით და სტანდარტებით მიაწოდოს ბავშვებს განათლება და განვითარებისათვის აუცილებელი ის უნარები, რაც ბავშვებს სჭირდებათ“, - ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი მაია ქურციკიძე.

კერძო საბავშვო ბაღებმა განათლების სამინისტროში რეგისტრაცია უკვე გაიარეს, 2025 წლამდე კი მათი ავტორიზაციის პროცესი დაიწყება. კერძო ბაღების ასოციაციის დამფუძნებლის პავლე კალიაშვილის განცხადებით, ავტორიზაციის უფლებას მიიღებენ მხოლოდ დარეგისტრირებული ბაღები. ეს სკოლამდელი აღზრდის შესახებ კანონის მოთხოვნაა. ამასთან, ბაღების ნაწილისთვის რეგისტრაციის ვადა ერთი წლითაა გახანგრძლივებული. კანონის თანახმად, საბავშვო ბაღი, რომელიც 2022 წლის 1 ივლისამდეა დარეგისტრირებული და სურს საქმიანობის გაგრძელება, ვალდებული იყო 2022 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 იანვრამდე გაევლო პირველადი რეგისტრაცია ელექტრონულ სისტემაში. იმ ბაღებს კი, რომლებიც 2022 წლის ივლისის შემდეგ გაიხსნა, ამისთვის კიდევ 1 წელი აქვთ მიცემული.

2025 წლიდან უკვე ავტორიზაციის პროცესი დაიწყება, რაც გულისხმობს ბაღების მიერ სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფოს დადგენილი სტანდარტის შესრულების დადასტურებას. პროცესი 2030 წლამდე გაგრძელდება. სწორედ 2030 წელია ის ვადა, რომლის შემდეგაც ბაღი, რომელიც ავტორიზაციას ვერ გაივლის, დაიხურება.

კანონი საბავშვო ბაღების მიმართ სხვადასხვა ვალდებულებას ითვალისწინებს. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილება, მასზე შესაბამისი რეაგირება, ასევე, ვალდებულია, დაიცვას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და კვებითი რაციონი. კანონით გაწერილია ინფრასტრუქტურული სტანდარტები, მაგალითად ის, რომ ბაღის განთავსება შენობის მხოლოდ პირველ-მეორე სართულზეა შესაძლებელი. განათლების სამინისტრო ადგენს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტებს. ამასთან, განსაზღვრულია ერთ ჯგუფში აღსაზდელებისა და აღმზრდელების რაოდენობა. კერძოდ, 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა; 3-დან 4 წლამდე - 30 ბავშვისა; ასევე, 4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში.

ამ ეტაპზე კერძო ბაღებში შესაბამის შემოწმებას შრომის ინსპექცია და სურსათის ეროვნული სამსახური ახორციელებენ. პირველი მათგანი შრომის უსაფრთხოების პირობებს, მეორე კი საკვების ხარისხს ამოწმებს.

პროცესი 2030 წლამდე გაგრძელდება. სწორედ 2030 წელია ის ვადა, რომლის შემდეგაც ბაღი, რომელიც ავტორიზაციას ვერ გაივლის, დაიხურება

მიკროავტობუსების მძღოლების თავნებობას საზღვარი არ აქვს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

სამარშრუტო მიკროავტობუსები ამ ეტაპზე როგორც ქალაქში, ისე სოფლებში ადამიანების გადაადგილების, მცირედი ტვირთის გადატანის მთავარ საშუალებად რჩება

ტრანსპორტის მფლობელები აჭარის მთიანეთის ყველა მუნიციპალიტეტში კერძო პირები არიან. დიდი დრო არაა გასული, რაც ბათუმი-ხულოს, შუახევი-ბათუმის, ქედა-ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი მოძრაობდა. იგი მიკროავტობუსების ფულს დახარბებულ მძღოლებს «მეტოქედ» მიაჩნდათ და ხშირად მძღოლს შეურაცხყოფასაც აყენებდნენ»... ხულო-ბათუმის ხაზზე მოძრავი 25-ადგილიანი ავტობუსი ისტორიის კუთვნილება გახდა. მიკროავტობუსების

მძღოლებს ყველაზე მეტად ზამთრის თოვლიანი და ყინულიანი გზები უყვართ, ასეთ დროს მგზავრობის ღირებულებას თითქმის აორმაგებენ, ვინმემ თუ ხმა აიმაღლა, უმალვე ქოქოლას დააყრიან. ახალ თაობასაც კარგად ახსოვს ის დრო, როცა ხულო-ბათუმის გზაზე ერთი ადამიანის გადაადგილების საფასური 4 ლარი იყო, შუახევი-ბათუმის ხაზზე - 3 ლარი, ქედა-ბათუმის - 1,5 ლარი.

ქედის ავტოტრანსპორტის გაერთიანების მძღოლებმა პირველებმა გამოთქვეს მგზავრობის ღირებულების გაზრდის სურვილი. საზოგადოებას კარგად ახსოვს მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებლის დავით დუმბაძის რეაქცია ამაზე: «საზოგადოებრივი ტრანსპორტით ძირითადად ის მოქალაქეები სარგებლობენ, რომლებსაც საკუთარი ტრანსპორტი არ ჰყავთ და ოჯახიც სიღარიბის ზღვარზე იმყოფება». ეს გამოსვლაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მგზავრობის ღირებულება ადრინდელ ტარიფზე დარჩენილიყო. მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებიც მის მსგავსად რომ ადამიანების ბედით დაინტერესებულიყვნენ, მგზავრობის ღირებულება არ გაორმაგდებოდა. დღეს შუახევი-ბათუმის მარშრუტზე მგზავრობის ღირებულება 6 ლარი, ხოლო ხულო-ბათუმის მიმართულებით 8 ლარი გახდა.

- დაბა შუახევის ცენტრს სოფელი ქიძინიძეები 12 კილომეტრითაა მოშორებული. სოფელთან კავშირს არ ვწყვეტთ. სამი მიკროავტობუსი გვემსახურება, მაგრამ როცა მჭირდება, არცერთს არ აქვს რეისი. იძულებული ვარ, მეზობელ სოფელ ჯაბნიძეების ხაზზე მომუშავე მიკროავტობუსით ვისარგებლო. იმ სოფელში მძღოლები რეისს არ ჩააგდებენ, მგზავრიც არ აკლიათ. ქიძინიძეების მარშრუტის ჩაშლისთვის პასუხს არავის სთხოვენ. მგზავრობის საფასური კი აღარ მკითხოთ, - გვითხრა მზია დავითაძემ.

დაბა შუახევის ცენტრში, ბათუმი-შუახევის ხაზზე მოძრავი მიკროავტობუსის მძღოლს, როცა გაზრდილ ფასებზე საუბარი ჩამოვუგდეთ, გამოგვიცხადა: ქვეყნის მასშტაბით აჭარაში მგზავრთა გადაყვანა ყველაზე იაფია. საინტერესოა, თვალებს ვის უხვევს?

8 კილომეტრია ხიჭაური-ჭალის ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზა. ერთი მიკროავტობუსის მძღოლი მგზავრს ამ გზაზე 2 ლარს ახდევინებს, მეორე - 3 ლარს. მგზავრებმა გვთხოვეს, მისი ვინაობა არ გაგვემხილა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სათქმელი უნდა ითქვას.

მიკროავტობუსის მძღოლების თავნებობას საზღვარი არ აქვს. თურმე მათი უმრავლესობა «შოფრების» დაუწერელი კანონით მოქმედებს - ხულოდან მომავალი მიკროავტობუსის მძღოლი დაისჯება, თუ დაბა შუახევის ტერიტორიაზე მომლოდინე მგზავრს ავტობუსში აიყვანს, ასევეა ქედის ტერიტორიაზეც.

- თვითმმართველობის სტრუქტურაში დასაქმებული ზოგიერთი მოხელეც თავნება მძღოლების ინტერესებს იცავს. აქაოდა, რეისები რომ ჩაშალონ, საზოგადოება ტრანსპორტით მომსახურების გარეშე დარჩებაო. ამას ისინი ამბობენ, ვისაც სახელმწიფო ტრანსპორტი ემსახურება, ბიუჯეტის თანხებით შეძენილი საწვავით მანქანის ავზები სავსე აქვთ, - გვითხრა ხულოელმა გ. შანთაძემ.

ქვეყნის ეკონომიკა მყარ რელსებზე დგება. შარშანდელთან შედარებით, ეროვნული ვალუტა დოლართან და ევროსთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გამყარდა. ნავთობის ღირებულებამაც მნიშვნელოვნად დაიკლო. მათ, ვისაც ქვეყნის მასშტაბით მგზავრობის ღირებულებაზე, სურსათსა თუ საქონელზე ფასების კონტროლი ეკისრება, ხმა უნდა ამოიღონ და საქმეს მიხედონ.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის ძალებმა 2022 წლის 24 თებერვლიდან ამ დრომდე, დაახლოებით, 129 870 რუსი ოკუპანტის ლიკვიდაცია მოახდინა, მათ შორის 840 ჯარისკაცი მხოლოდ ბოლო დღეს. ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებაშია ნათქვამი.

გარდა ამისა, უკრაინელმა სამხედროებმა გაანადგურეს მტრის 3215 ტანკი, 6388 ჯავშანტექნიკა, 2215 საარტილერიო სისტემა, 460 MLRS, 222 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 294 თვითმფრინავი, 284 შვეულმფრენი, 1952 უპილოტო საფრენი აპარატი, 796 საკრუიზო რაკეტა, 18 გემი/ნავი, 5068 მანქანა და საწვავის სატვირთო მანქანა და 202 ცალი სპეცტექნიკა.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, რუსეთი უკრაინაში ომის დაწყების ერთი წლისთავზე ახალი შეტევის დაწყებას გეგმავს. ფრანგულ მედიასთან საუბრისას რეზნიკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი მობილიზებული ჯარისკაცების დიდ კონტინგენტს გამოიძახებს. ამასთან, მისი თქმით, სავარაუდოდ, რუსეთმა, მობილიზაციის ფარგლებში იმაზე გაცილებით მეტი ადამიანი გამოიძახა, ვიდრე ოფიციალურად გამოაცხადა. „ოფიციალურად, მათ გამოაცხადეს, რომ 300 000 ადამიანის მობილიზაციას განახორციელებდნენ, მაგრამ როცა ვხედავთ ჯარს საზღვრებზე, ჩვენი შეფასებით, მათი რაოდენობა ბევრად მეტია“, - აღნიშნა რეზნიკოვმა. მისი თქმით, შეტევა, სავარაუდოდ, ორი მიმართულებით იქნება კონცენტრირებული: ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში. „ვფიქრობთ, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი სიმბოლიზმში ცხოვრობს, ისინი შეეცდებიან სცადონ რაღაც დაახლოებით 24 თებერვალს“, - აღნიშნა რეზნიკოვმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდებს, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ახალი სანქციები სწრაფად დააწესონ. ამის შესახებ მან კიევში ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. „ჩვენ განვიხილეთ ახალი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, კერძოდ, ევროკავშირის სანქციების მეათე პაკეტი. ეს არის საერთო ევროპული ამოცანა, რათა შევამციროთ რუსეთის შესაძლებლობა, სანქციებს გვერდი აუაროს. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის სანქციების ტემპები ოდნავ შენელდა და ტერორისტული სახელმწიფო, პირიქით, სანქციებთან ადაპტაციის ტემპს ზრდის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

ეუთო-ში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის მაიკლ კარპენტერის განცხადებით, ოკუპანტებმა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთში 14 000-ზე მეტი ბავშვი იძულებითი

ლებით გადაიყვანეს. „კრემლის მარიონეტულმა ხელისუფლებამ 14 000-ზე მეტი ბავშვის იძულებითი დეპორტაცია განახორციელა ან რუსეთში სხვაგვარად გადაიყვანა“, - აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ცდილობს აღმოფხვრას უკრაინის ეროვნული იდენტობის ყველა გამოვლინება და ყველა უკრაინელი გადაიქცეოს რუსეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომად. მაიკლ კარპენტერმა ასევე აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები გააგრძელებს მუშაობას საერთაშორისო პარტნიორებთან და უკრაინასთან უკრაინის ტერიტორიებზე დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

* * *

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელ უილიამ ბერნსის განცხადებით, უკრაინაში ომის საბოლოო შედეგის განსასაზღვრად შემდეგი ექვსი თვე გადამწყვეტი იქნება. „ვფიქრობ, რა იქნება გასაღები, რადგან ჩვენი შეფასებით, ვლადიმერ პუტინი სერიოზულად არ საუბრობს მოლაპარაკებებზე - გასაღები, როგორც ჩანს, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ბრძოლის ველზე იქნება“, - აღნიშნა უილიამ ბერსნმა.

მისი თქმით, პუტინს სჯერა, რომ შეუძლია უკრაინის განადგურება, მაშინ როცა ევროპას პოლიტიკური დაღლილობა მოერევა და შეერთებულ შტატებს თავგზა აერევა. ამასთან, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, მან თავის რუს კოლეგას, სერგეი ნარიშკინს, ნოემბერში განუცხადა, რომ ეს რუსული გაანგარიშება ისეთივე სერიოზული შეცდომაა, როგორიც ომის დაწყების გადაწყვეტილება.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ივანე (ვანო) მაჩაბლის საიდუმლოებით მოცული გაუჩინარება

ივანე (ვანო) მაჩაბელი იყო XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქართველ „სამოციანელთა“ ღირსეული წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი

იგი დაიბადა1854 წლის 28 იანვარს სოფელ თამარაშენში, ღარიბ მემამულე გიორგი მაჩაბლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, 9 წლისა კი მშობლებმა თბილისის გიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც ვანომ 1870 წელს წარმატებით დაამთავრა და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, სადაც მისი ძმა ვასილი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ვასილის რჩევით ვანომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პარალელურად იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა. შემდეგ სწავლა გერმანიასა და საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში გააგრძელა. უცხო ენების საუცხოოდ ცოდნის წყალობით საფუძვლიანად შეისწავლა ბიოლოგია, მათემატიკა, სოფლის მეურნეობა და იურისპრუდენცია. პარალელურად გატაცებით კითხულობდა ჰეგელს, კანტს, ბოკლს, პრუდონს, სენ-სიმონს და სრულყოფილად დაეუფლა რამდენიმე ევროპულ ენას, რამაც ხელი შეუწყო მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

პეტერბურგში ვანომ აკაკი წერეთელი და „სათავადაზნაურო ბანკის“ საქმეებზე ჩასული ილია ჭავჭავაძე გაიცნო.

1879 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. ამავე წლიდან ჯერ „ივერიის“ თანამშრომელი, შემდეგ კი მისი რედაქტორი გახდა. იგი ასევე, რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“. ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა ლექსებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსა და თარგმანებს.

საქართველოში დაბრუნებული ივანე მაჩაბელი ყველა იმ საზოგადოებრივი წამოწყების აქტიური მონაწილე გახდა, რომელსაც ილია ხელმძღვანელობდა („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, „ვეფხისტყაოსნის“ტექსტის დამდგენი კომისია და სხვა). იგი იყო შოთა რუსთაველის პოემის 1888 წლის გამოცემის რედაქტორი.

1979 წლიდან ივანე მაჩაბელი „ივერიის“ აქტიური თანამშრომელია, ხოლო 1882-1883 წლებში - მისი რედაქტორი. 1983-1885 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“, რომლის დახურვამ უზომოდ დასწყვიტა გული.

ივანე მაჩაბელი ყველაზე მეტად მაინც როგორც მთარგმნელი, ისეა ცნობილი. 1872 წელს ილია ჭავჭავაძესთან ერთად მან თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, შემდეგ დამოუკიდებლად - „ჰამლეტი“ (1886 წ.), „ოტელო“ (1888 წ.), „მაკბეტი“ (1892 წ.), „რიჩარდ III“ (1893 წ.), „იულიუს კეისარი“ (1896 წ.), „ანტონიო და კლეოპატრა“ (1898 წ.) და სხვები. ამას გარდა, მან თარგმნა მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, სხვადასხვა ენიდან გადმოქართულა პიესები: „ადვოკატი მელაძე“, „ორ ცეცხლ შუა“ და სხვა, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი. შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმნით მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. მის მიერ ნათარგმნი შექსპირის ტრაგედიები გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, დიალოგების ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სიცხადითა და ლაკონურობით.

1881 წელს ივანე მაჩაბელი დაქორწინდა ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილზე. მასზე ადრე ანასტასია აკაკი წერეთელს გაუცნია და მისი სილამაზით მოხიბლულა. ამ დროს იგი 44 წლის ყოფილა, ტასო კი 15-16 წლისა. ტასოს სილამაზის შესახებ აკაკის თავისი შთაბეჭდილება ვანოსათვის გაუზიარებია. ამის შემდეგ ვანოსაც გაუცნია და მოხიბლულა მისი სილამაზით. მალე ისინი შეუღლდნენ და შესანიშნავი ოჯახი შექმნეს. ორი შვილი შეეძინათ - ნიკო და ელენე.

ვანოსა და ტასოს ქორწილში აკაკის შთამბეჭდავი სიტყვა უთქვამს. იგი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა, რამაც, როგორც ჩანს, აკაკის ტასოსადმი გრძნობები უფრო გაუღვივა. ასე შექმნა მან ლექსების ციკლი: „ქებათა ქება“, „საიდუმლო ტრფიალება“, „დიდება მაღალთა შინა“, „რაც არ იწვის, არ

ანასტასია
ბაგრატიონი-დავითაშვილი მაჩაბლისა

ანათებს“, „ქრისტე აღსდგა“ და მრავალი სხვა.

ძნელია იმის თქმა, ხვდებოდა თუ არა ივანე მაჩაბელი აკაკის ტასოსადმი ტრფიალს. ამ დროისთვის ვანო ტუბერკულოზით იყო დაავადებული და მძიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი.

1898 წლის 25 ივნისს მაჩაბლებს კვლავ სწვევია აკაკი. დაწოლამდე ვანო და აკაკი ნარდის თამაშით გართულან, 10 საათისთვის კი დასაძინებლად წასულან. დილის 8 საათზე ვანოს ოთახში აკაკი შესულა, მაგრამ ვანო არსად ჩანდა. მაგიდაზე იდო მისი საათი, ძეწკვი, პერანგის ოქროს ღილები და ფული, რომელიც წინა დღით გამოუტანია ბანკიდან, რადგან აბასთუმანში აპირებდა დასასვენებლად წასვლას.

ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით უამრავი ადამიანი დაიკითხა, მაგრამ დაკარგულის კვალს ვერავინ მიაკვლია. გაჩნდა ერთმანეთის საწინააღმდეგო რამდენიმე ვერსია: ერთი ვერსიით, ვანო მაჩაბლის გაუჩინარება დაკავშირებულია თვითმკვლელობასთან, რომელსაც მისი ცხოვრების რთული პერიოდით ხსნიდნენ (ილია ჭავჭავაძესთან დაპირისპირება სათავადაზნაურო ბანკისა და გაზეთ „დროების“ გამო, ავადმყოფობა, ვალები); მეორე ვერსიით ვანოს გაუჩინარებაში აკაკის ადანაშაულებდნენ (ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლის სიყვარულის გამო). ამ ვერსიით, აკაკი თითქოს ტასოს საყვარელი და ვანოს მკვლელი იყო.

ცხადია, მეორე ვერსია ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, რადგან აკაკი ტასოს სიყვარულს მთელი ოცი წლის განმავლობაში ფარულად ატარებდა გულში, რაც დასტურდება „სიკვდილის წინა აღსარებაში“. მგოსნის გრძნობა ტასოსათვის გვიან გახდა ცნობილი. ვანოს გაუჩინარებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკიმ ვეღარ დამალა თავისი გრძნობა და ანასტასიას სიყვარულში გამოუტყდა. „გინდ დამახრჩვე, გინდა დამწვი, გინდ ამკეპე ასო-ასო, თუ არ ცხადად, ძილში მაინც, წამომცდება „ტასო! ტასო!“. საპასუხოდ ტასომ სთხოვა წერეთელს, მის სიახლოვესაც კი არსად გამოჩენილიყო და მასთან მეგობრობაზეც სამუდამოდ აეღო ხელი.

„ერთი გზის მეტი აღარ დამრჩენია და ის გზა საშინელია, - წერდა აკაკი, - ძალიან გაოფთრებული ვარ ჩემს თავზე. ყმაწვილი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ბებერი ვარ და რაღა საჩქაროა? ისედაც ველი სიკვდილს...“. იმას, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაჩაბლის გაუჩინარებას აკაკის სახელს უკავშირებდა ტასოსადმი მისი სიყვარულის გამო, ტრაგიკულად განიცდიდა დიდი პოეტი.

ერთ-ერთი ვერსიით, სამშობლოდან ვანოს გადახვეწა დუხობორების სახელს უკავშირდება. დუხობორები უარს აცხადებდნენ მეფის ჯარში სამსახურზე, რის გამოც მათ იმპერატორისგან ემიგრირების ოფიციალური ნებართვა მიიღეს იმ პირობით, რომ ისინი იმპერიის საზღვრებს აღარ დაუბრუნდებოდნენ. მათ გამგზავრებას მფარველობდა ლევ ტოლსტოი, პრაქტიკულად კი მისი უფროსი ვაჟი სერგეი. მათი მოსაზრებით, დუხობორები აუცილებლად უცხო ენების მცოდნე პირს უნდა მიეცილებინა გემით კვიპროსამდე, ოღონდ - ინკოგნიტოდ. შესაძლოა, ერთ-ერთი ასეთი ინკოგნიტო-გამცილებელი უცხო ენების უბადლო მცოდნე მაჩაბელიც აღმოჩენილიყო. სავარაუდოდ, ღამის 4 საათზე სერგეიმ წაიყვანა ივანე მაჩაბელი, როგორც თარჯიმანი, რადგან იგი ამ დროს დაუნახავთ მის სახლთან.

ემიგრირებული დუხობორები კუნძულ კვიპროსზე ჩასვლისთანავე ციებ-ცხელებით დაავადებულან, რასაც ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. თუ მაჩაბელი მათ ახლდა, ბუნებრივია, ის ამ დაავადებას ვერ გადაიტანდა, ვინაიდან ცოტა ხნით ადრე ტუბერკულოზით იყო ავად.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მაჩაბლის გაუჩინარება მის პირად ცხოვრებას არ უკავშირდება. ამ დროს მიმდინარეობდა ქართული ეროვნული სულის გასანადგურებლად ბრძოლა და ნადირობა ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრებზე. აქედან გამომდინარე,

ივანე მაჩაბელი

ლანდაძე წერს: „მაინც რა უჭირდა მაჩაბელს, რამ აიძულა საკუთარი საფლავიც კი არ დაეტოვებინა შთამომავლობისთვის?.. გაუჩინა-

ნიკო და ელენე მაჩაბლები - დედასთან ერთად

ივანე მაჩაბლის გაქრობაც, შესაძლოა, იმ ძალებს უკავშირდება, ვინც საქართველოს დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ბევრი სხვა ჭეშმარიტი მამულიშვილი მოუკლა. ამ მხრივ ვანო მაჩაბელს, ყიფიანისა და ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, საფლავიც კი არ ეღირსა.

ვანო მაჩაბლის დაკარგვიდან საუკუნის შემდეგ საქართველომ მისი მშობლიური სოფელი თამარაშენიც დაკარგა. დანგრეული და მიწასთანაა გასწორებული მისი სახლ-მუზეუმი.

იბადება კითხვა: ზემოთ დასახელებული ვერსიებიდან რომელია ჭეშმარიტებასთან ახლოს?

ამის გარკვევა ახლა ძალზე ძნელია - მოკლეს, თავი მოიკლა, დუხობორებს გაჰყვა თუ სამშობლოდან გადაიხვეწა? ალექსანდრე კარებამდე ცოტა ხნით ადრე ივანე მაჩაბელს ოპერაცია გაუკეთეს და სამი ნეკნი ამოაჭრეს. იქნებ სწორედ მისი ავადმყოფობა გახდა მიზეზი მისი უკვალოდ გაუჩინარებისა? მაგრამ ამ დროისათვის იგი თითქმის გამოჯანმრთელებული იყო“.

ამრიგად, ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან დღემდე საზოგადოებას არა აქვს პასუხი კითხვაზე - რატომ გაქრა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და შექსპირის უბადლო მთარგმნელის - ივანე მაჩაბლის კვალი? მისი გაუჩინარებიდან ასი წლისთავზე მაჩაბლის ქალიშვილ ელენეს მიერ რუდუნებით შემონახული მამის სამი ნეკნი, რომლებიც ოპერაციის დროს ამოჭკვეთეს, ქართველმა ხალხმა დიდი პატივით მიაბარა მთაწმინდას.

ნოდარ ბასილაძე

ოსმან ჩალიშქან მჟავანაძე: თურქეთს აქვს ყველა რესურსი, რომ ეკონომიკურად ერთ-ერთ ძლიერ ქვეყნად დარჩეს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბევრ ქვეყანაში ათწლეულების რეკორდული ინფლაცია დაფიქსირდა, მსოფლიოს მაღალი ინფლაციისგან თავის დაღწევა უჭირს. გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. საქართველოში საქონლისა და მომსახურების ფასებზე გავლენა აქვს იმასაც, თუ როგორ იცვლება ფასები იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რაც საქართველოს იმპორტით შემოაქვს

ჩვენთვის საინტერესოა მეზობელი ქვეყანა. თურქეთში, 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, 85,5%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში მე-6 ადგილზეა. ინფლაციის მთავარი მიზეზი ეროვნული ვალუტის - ლირის მნიშვნელოვანი გაუფასურება და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის შეზღუდვაა, რაც არასათანადო მონეტარულ პოლიტიკას განაპირობებს. მაღალი ინფლაციის მიუხედავად, ცენტრალურმა ბანკმა ოქტომბერში რეფინანსირების განაკვეთი 12%-დან 10,5-მდე შეამცირა. ლირის კურსი კი დოლარის მიმართ 18,6-მდე გაიზარდა. რა გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე ინფლაცია თურქეთის რესპუბლიკაში და რა მოლოდინებია, ამაზე თურქეთ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (DEIK) და საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ***ოსმან ჩალიშქან მჟავანაძე*** *გვესაუბრა.*

- ბატონო ოსმან, 2022 წლის მთავარი ეკონომიკური გამოწვევა ინფლაცია იყო. რა ღონისძიებები გატარდა და როგორ უმკლავდება თურქეთი ამ პრობლემას?

- მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს. პანდემია და შემდგომი პერიოდი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. ფაქტობრივად, გასული წელი შექმნილი პრობლემებიდან გამოსასვლელი დრო იყო. თითქმის ყველა სექტორმა შეძლო მუშაობის განახლება. კორონავირუსმა და საომარმა მდგომარეობამ იმოქმედა ინფლაციაზე როგორც თურქეთის, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებზეც. ლირის მსგავსად უფასურდება სხვა ქვეყნის ვალუტებიც. მაგრამ თურქეთს აქვს თითქმის ყველა ის რესურსი, რომ ისევ დარჩეს ეკონომიკურად ერთ-ერთ ძლიერ ქვეყნად. ეს არის გამართული ეკონომიკა, ბევრი ქარხანა, კარგი გეოგრაფიული მდებარეობა და ადამიანური რესურსი, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ქვეყანას ინფლაციასთან ბრძოლაში.

- საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული თურქეთის ეკონომიკასთან...

- თურქეთი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, აქტიურად თანამშრომლობს მასთან ვაჭრობის, კულტურის, ტურიზმის სფეროებში. როგორც ცნობილია, შარშან საქართველოსა და თურქეთს შორის დიაგონალური კუმულაცია ამოქმედდა, რაც ითვალისწინებს თურქეთიდან ნედლეულის შემოტანას, საქართველოში პროდუქციის დამზადებას და „დამზადებულია საქართველოში“ ეტიკეტით მის ევროპაში გატანას. ეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობას კიდევ უფრო აღრმავებს. ასევე, არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური საქმიანობის გაღრმავებას.

- მიუხედავად მაღალი ინფლაციისა, საქართველომ 2022 წელი კარგი ეკონომიკური ზრდით დაასრულა. შეიძლება ვთქვათ თუ არა იგივე თურქეთის ეკონომიკაზე?

- დიახ, ყველასათვის ნამდვილად რთული და კრიზისული პერიოდია. წელს, პირველად, თურქეთის მასშტაბით სამომხმარებლო ფასებზე ზრდის ტემპი შენელდა და წლიური ინფლაციის დონე შემცირდა. ინფლაციური მონაცემების შემცირება წინა წლის მაღალი საბაზო მაჩვენებლებითა და ბოლო თვეების განმავლობაში თურქული ლირის სტაბილურობით არის გამოწვეული. ეკონომიკის თვალსაზრისით, თურქეთს ნამდვილად რთული პერიოდი უდგას, მაგრამ ის ძლიერი ქვეყანაა და აქვს იმის პოტენციალი, რომ შეამციროს ინფლაციის ნიშნულები და გაზარდოს ეკონომიკა.

- ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდა რუსეთ-უკრაინის ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, შეიძლება გარკვეული სიგნალი იყოს პოტენციური ინვესტორებისთვის. როგორ უყურებენ თურქეთში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს და გაიზარდა თუ არა ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი?

- ბოლო სამი წელია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ებრძვის და ცდილობს მის მართვას. პანდემიამ ნამდვილად გვასწავლა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების გაზრდა და ხელშეწყობა, რაც, ვფიქრობ, ყველასთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. რაც შეეხება ინვესტიციებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო თურქი ინვესტორებისთვის კვლავ საინტერესოა და მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს, მაგრამ ინვესტორებს სჭირდებათ კვალიფიციური კადრები და ადამიანური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია მათთვის ბიზნესის დასაწყებად.

ევროკომისიამ საქართველოსთვის მწვანე შუქი აანთო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მისასალმებელია ეს პოზიტიური შეფასება, რომელიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ახლო მომავალში ჩვენ მიერ 12 რეკომენდაციის შესრულებას, რათა უმოკლეს ვადაში საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს“, - აღნიშნული განცხადებით საქართველოს პრეზიდენტი ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ იმ ანალიტიკურ ანგარიშს გამოეხმაურა, რომლითაც საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით, დადებითი შეფასება მიეცა. აღნიშნული შეფასება საქართველოსთვის გაგზავნილ კითხვარებზე 2022 წლის აპრილში პასუხების მიღების შემდეგ გამოაქვეყნეს, რომელიც პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ევროკავშირის წევრობის განაცხადი 2022 წლის 3 მარტს წარადგინა. ევროკავშირის წევრობის განაცხადები ასევე წარადგინეს უკრაინამ და მოლდოვამაც. ივნისში ევროკავშირმა ამ ორ ქვეყანას წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, ხოლო საქართველოს - ევროპული პერსპექტივა.

სამინისტრო ახალ შესაძლებლობას გვთავაზობს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომლის 2023 წლის სრული ბიუჯეტი 200 000 ლარით განისაზღვრა. როგორც სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან მუნიციპალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა. რაც შეეხება საგრანტო განაცხადს და დოკუმენტაციას, ის დაინტერესებულმა პირებმა სამინისტროს ელექტრონული ფორმით (PDF ფორმატით) უნდა გაუგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: freeprojectsajara@gmail.com.

პროექტი უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. აღნიშნული პროექტების მხარდაჭერა გულისხმობს ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური და კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას, ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი იდეების მხარდაჭერას, აქტუალური საკითხების კულტურისა და ხელოვნების გზით წარმოჩენასა და საზოგადოებისთვის გაცნობას, ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას და კულტურის ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობის ახალი შესაძლებლობების შექმნას. ერთი პროექტის განხორციელებისათვის გრანტი გაიცემა არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, საგრანტო კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს 2 ეტაპად:

I ეტაპი - 2023 წლის 01 თებერვლიდან 17 თებერვლის 00:00 საათამდე;

II ეტაპი - განაცხადების მიღების ვადა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

„თიბისი“ იუწყება:

„ფიზიკური პირის საბარათე ანგარიშიდან თანხის უფასოდ ან შეღავათიანი პირობით გასატანად, გთხოვთ, ისარგებლოთ „თიბისის“ ბანკომატებით. 2023 წლის 1-ლი თებერვლიდან ფილიალების სალაროებიდან 3 000 ლარამდე თანხის გატანის მინიმალური საკომისიო იქნება გასატანი თანხის 2% (მინ. 2 ლარი), ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში (1000 USD/EURO/GBP-მდე) - 2% (მინ. 1 USD/EURO/GBP),“ - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

საქართველოს ოცნებები დარჩება... „ოცნებისა და ფანტაზიების სამყაროში“

რუსეთის დუმის დეპუტატმა, დსთ-ის, ევრაზიის ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კონსტანტინ ზატულინმა URA.RU-ს განუცხადა: საქართველოს სურს დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მაგრამ მისი სურვილები დარჩება „ოცნებისა და ფანტაზიების სამყაროში“.

„იმისთვის, რომ საქართველოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, რუსეთი უნდა დაამარცხოს. დამარცხების პირობებში შეიძლება წამოიჭრას განსხვავებული იდეები, რისი მოთხოვნაც შეიძლება რუსეთისთვის. ასე რომ, ის, რასაც ქალბატონი ზურაბიშვილი ამბობს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახდეს“, - განაცხადა ზატულინმა.

რუსმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ თბილისი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს უკრაინის კონფლიქტთან, „ცდილობს, გაზარდოს თავისი ღირებულება და კიდევ ერთხელ მოითხოვოს რაღაც რუსეთისგან“.

ზატულინმა, ამასთან, თქვა, რომ საქართველოს საზღვრებზე ვითარების გამწვავება შესაძლებელია. „შეიძლება იყოს გამწვავება, ოღონდ მაშინ, თუ საქართველოს ხელისუფლება, მთავრობა მოექცევა იმ ზეწოლის ქვეშ, რომელიც მათზე ხორციელდება. ის სინამდვილეში განხორციელდება“, - აღნიშნა დეპუტატმა.

ამირან გურიელიძე

ალდგება რუსეთთან ფრენები?

მე-4 გვერდიდან

800 ათასი საქართველოს მოქალაქე, ქართველი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში. თუ ისინი ამ სანქციას მოხსნიან, ეს არის მათი გადაწყვეტილება. ჩვენ მივესალმებით იქიდან გამომდინარე, რომ ეს იქნება ჩვენი თანამოქალაქეებისა და თანამემამულეებისთვის შეღავათი. ეს არის ჩვენი პოზიცია და ეს პოზიცია არის ცხადი. თუ ვინმეს უნდა კომპანიის დასჯა, არის მისი საქმე. თუ ვინმეს უნდა სანქციის მოხსნა, არის მისი საქმე. ჩვენ ჩვენს პოზიციას ყველაფერთან დაკავშირებით ვაფიქსირებთ, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ცნობისთვის: *რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები 2019 წლის 8 ივლისს შეწყდა. ფრენების შეწყვეტის შესახებ ბრძანება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 21 ივნისს გამოსცა. საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხი ბოლო პერიოდის განმავლობაში ოფიციალური მოსკოვის მხრიდან გააქტიურდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 18 იანვარს საქართველოს მთავრობა შეაქო იმისთვის, რომ ის, დასავლეთის ზეწოლის მიუხედავად, არ უერთდება რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს. მან ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაში რუსეთს დიდი წვლილი მიუძღვის. სწორედ ამ დროს გამოხატა ლავროვმა ქვეყნებს შორის ფრენების აღდგენის იმედი. რუსეთის სათათბიროს ფედერალური საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე გრიგორი კარასინი კი აცხადებს, რომ მზად არიან საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლა აღდგეს, თუმცა ამისთვის საქართველოს თანხმობაა საჭირო. მისივე თქმით, პირდაპირი ფრენების აღდგენის საკითხზე გადაწყვეტილება ორივე ქვეყანამ ერთობლივად უნდა მიიღოს.*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/02/23, 20 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სუმბათას ყავამ“ შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის საერთაშორისო ჯილდო - LEADER OF THE YEAR-ი მიიღო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გასული წლის ბოლოს, „სუმბათას ყავის“ მწარმოებლები - მამა-შვილი სუმბატ (საწარმოს დამფუძნებელი და დირექტორი) და არტიომ (საწარმოს დირექტორი) ტოპ-ბაშინიანები დედაქალაქში მიიწვიეს და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის საერთაშორისო ჯილდო - Leader of theYear-ი საზეიმო ვითარებაში გადასცეს

იმ დღეს ყველა სფეროში დასახელდნენ წარმატებულები და... არა მხოლოდ საქართველოდან. ბათუმიდან - „სუმბათას ყავა“, ერთი რესტორანი და ერთიც სამშენებლო კომპანია დაჯილდოვდა.

„სუმბათას ყავას“ მარტო ბათუმში კი არა, მთელ საქართველოში კარგად იცნობენ. მას ათასობით მომხმარებელი ჰყავს, რადგან გამორჩეულია სხვებისგან - გაჯერებულია მძაფრი არომატით და ჩვენი ქალაქის სურნელით. მისი წარმოება (დაფქვა, შეფუთვა) 1994 წლიდან დაიწყო. მომავალში 30 წელი შეუსრულდება ყავას, რომელიც, თამამად შეიძლება ვთქვათ, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად გადაიქცა.

ამ დღეებში გაზეთი „აჭარა“ ადგილზე ეწვია ამ შესანიშნავი პროდუქტის მწარმოებლებს, უფრო ახლოს გავიცანით საწარმოს ხელმძღვანელები, ასევე, ყავის შეფუთვის და დახლებზე გადატანამდე მიმდინარე ტექნოლოგია.

ყავის დასაფასოებელ საამქროში შესვლისას პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, იდეალური სისუფთავეა. აქ მომუშავე, სპეცტანსაცმელებში გამოწყობილი ადამიანები თავიანთ საქმეს უხმოდ და პროფესიონალურად აკეთებენ. ყოველი დღის ბოლოს, ბაკები, რომელშიც დაფქული ყავა იყრება (თითოეულ აპარატს აქვს თავისი ბაკი), მაღალი

წნევის აპარატით - „კერხერით“ საგულდაგულოდ ირეცხება. სხვათა შორის, როგორც გვითხრეს, დაფქული ყავის მოშორება საკმაოდ ძნელია. ასეთ ყავას თავისი მტვერი აქვს, რომელსაც შეუძლია გარშემომყოფებზეც იმოქმედოს. ამიტომ საამქროში გამწოვია დამონტაჟებული, რომელსაც ეს მტვერი გარეთ გაიქვს. თითოეული საფქვავი აპარატი და ასეთი აქ 12-ზე მეტია, ჩამოტანილია სომხეთიდან, რომელსაც კერძო მესაკუთრე ამზადებს. საფქვავი იმავე პრინციპით მუშაობს, როგორც სიმინდის წისქვილი, იმ განსხვავებით, რომ იგი ხურდება და საათნახევრის შემდეგ უნდა გაჩერონ. საფქვავის ქვა საკმაოდ ძვირი ღირს.

სუსანა მკრტჩიანი აქ 10 წელია, მუშაობს. ის, სხვებთან ერთად, ყავას სხვადასხვა მინარევიდან ასუფთავებს. ეს მინარევი შეიძლება იყოს ქვა, რკინა, მინა, ჯოხი... ერთი დღის განმავლობაში დაახლოებით კილოგრამამდე ნაგავი გროვდება. გასუფთავების შემდეგ ყავას ფქვავენ, წონიან, პარკებში აფასოებენ, ლუქავენ და... „სუმბათას ყავა“ მოხმარებისთვის მზადაა.

ეს ყავა ყოველდღიურად, როგორც ახალი პური, ისე შედის მაღაზიებში. მისი მომხმარებლებია რესტორნები - „ბიკეი“, „ბერნი“, „პრივეტ იზ ბატუმა“, კაზინოები - „შერატონი“, „ჰილტონი“. „პრინცესა“, „როიალი“... მათ ეხმიანებიან სილამაზის სალონებიდან, ბანკებიდან, სხვადასხვა მაღაზიიდან... არის კომპანიები, რომლებიც მათგან ყიდულობენ და, როცა მაღაზიებს სხვა საქონლით ამარაგებენ, ყავასაც სთავაზობენ, მოგეგება კი მათ რჩებათ. „სუმბათას ყავის“ შეძენა ადგილზეც შეგიძლიათ, საბითუმო ფასად.

საქმეს, მამასთან ერთად, შვილი - არტიომიც უძღვება, უფროსი და - ემილია „ყავის საქმეებში“ არ ერევა.

რატომ მოუვიდა აზრად ამ ყავის გამოშვება?

როგორც ბატონი სუმბატი ამბობს, ძველი ბათუმის იმ უბანში, სადაც ცხოვრობდა სამი ხანდაზმული ქალი, კოვზებით ყიდდა სახლში მოხალულ, ხელის საფქვავით დაფქულ ყავას. მაშინ ერთი კოვზის ფასი 3-იდან 5 კაპიკამდე იყო. რა თქმა უნდა, მაშინდელი - ხელით დაფქული ყავა გემრიელი იყო. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ოჯახი უმუშევარი დარჩა.

სუმბატმა გადაწყვიტა საკუთარი ბიზნესის წამოწყება. სომხეთიდან საფქვავი აპარატები ჩამოიტანა. მთავარი მისთვის საქმის დაწყება იყო - საკუთარ ოჯახში დამზადებული ყავის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ყავა იმთავითვე მოეწონა მომხმარებელს, თავიდან გაუჭირდა ბაზარზე დამკვიდრება. ამიტომ ასეთი რამ მოიფიქრა - გააკეთა გულებით გაფორმებული პაკეტები სწორედ იმ წარწერით - „სუმბათას ყავა - ორიგინალი“, რომელიც დღესაც ამშვენებს მისი საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციას. მაშინ ყველა პაკეტი 100-გრამიანი იყო, ეს სტანდარტით იყო გათვალისწინებული და დღემდე ასე ყიდიან, თუმცა დიდ პაკეტებშიც აქვთ დაფასოებული.

თავიდან გაყიდვა ზურაბ ბერიძის (ყოფილი კალიაევის) ქუჩაზე დაიწყო, მერე მას გასცდნენ და დაიწყეს ქალაქის ფარგლებში, მარკეტებში შეტანა. დღეს უკვე 650 მარკეტში შეაქვთ თავიანთი პროდუქტი. ბათუმთან ერთად მოიცვეს ქობულეთი, გურია, ქუთაისი, თბილისი... ზოგჯერ დისტრიბუტორებიც ყიდულობენ და თავად აბარებენ სხვა პროდუქტთან ერთად. ბიზნესი სამი კილოგრამის გაყიდვით დაიწყეს და ამჟამად ყოველდღიურად 600-700 კილოგრამი ყავა გააქვთ გასაყიდად.

როგორც არტიომმა გვითხრა, ერთხელ შეფუთვის შეცვლა შესთავაზეს. მოიყვანეს დიზაინერი, ლურჯად, დელფინიანი ქაღალდით შეფუთეს, მაგრამ არ იმუშავა - მომხმარებელი უკვე მიჩვეული იყო „გულებიან“ ყავას. ისევ ძველ შეფუთვას დაუბრუნდნენ. როგორც ვთქვით, თავიდან მიზერული რაოდენობა იყიდებოდა, მაგრამ ისე მოიხვეჭეს სახელი, რომ თანდათან გაფართოვდნენ. მათი წარმატების ხარჯზე სხვებსაც მოუნდათ ფულის დაუმსახურებლად შოვნა. დაახლოებით ხუთი წლის წინ არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა დაიწყეს „სუმბათას“ სახელით სარგებლობა და ყავის გაყალბება - შეფუთვა და დიზაინი თითქმის ისეთივე გააკეთეს. იყო ისეც, რომ სახელწოდებაში ერთი ასო შეუცვალეს: „სუმბათას“ ნაცვლად „სუნბათა“ წააწერეს. მომხმარებელი თუ არ წაიკითხავდა, უცებ ვერც კი მიხვდებოდა, რომ ყალბი იყო და სისწრაფეში ბევრიც ყიდულობდა...

ასეთი სამი სხვადასხვა დაჯგუფება მოქმედებდა. თავიდან მათთან ადამიანურად სცადეს მოლაპარაკება, მაგრამ თაღლითებმა ყურიც არ შეიბერტყეს. საბოლოოდ, სათანადო ორგანოები ჩარიეს საქმეში - ფინანსურ პოლიციას სთხოვეს დახმარება. დავა მამა-შვილმა მოიგო. დამნაშავეები - 10 ათასი ლარით დაჯარიმდნენ და ერთი წელი პირობითი სასჯელიც მიიღეს. ამას გარდა, მათ პროდუქტს კონფისკაცია ჩაუტარდა. ერთმაორმა ადამიანმა ბოდიშიც მოიხადა... ზოგს აპატიეს, ზოგს - არა.

- რა განასხვავებს თქვენს ყავას სხვებისგან? - ვეკითხები ბატონ სუმბატს.

- ვფიქრობ, მთავარი გემოა.

- თავად მარცვალი განსაკუთრებულია?

- ბათუმში ყავის შემომტანი რამდენიმე საწარმოა, ჩვენ ასლან ქამაშიძესთან ვთანამშრომლობთ - მისგან ვყიდულობთ.

- ზოგჯერ ამბობენ, ყავას სხვანაირი გემო დაყვება და არა ჩვეულიო...

- ეს არის მოხალვის ბრალი, ჩვენ მოხალულს ვყიდულობთ. მოხალვა ხშირად ერთნაირად არ მიმდინარეობს. ეს პროცესი იმ ადამიანზეა დამოკიდებული, რომელიც მას თვალით ამოწმებს. ხან მეტად იხალება, ხან - ნაკლებად, ეს გემოზე ახდენს გავლენას.

- არასდროს „შეგირევიათ“ ყავაში რამე?

- არა! ამას ხომ ამოწმებენ. ლაბორატორიაში რა შემადგენლობასაც გვთხოვენ, ყველა შეფუთვაზე თანდართულია. ჩვენ შეგვიძლია ლაბორატორიაში სუფთა ყავა მივიტანოთ, მაგრამ ლაბორატორიას შეუძლია თავად ამოიღოს მაღაზიიდან და ფარულად შეამოწმოს. სახელის გატეხვა არაფერში გვჭირდება.

- ადრინდელი ყავის მარცვლები და ახლანდელი განსხვავდება ერთმანეთისგან?

- რა თქმა უნდა. კომუნისტების დროინდელი ყავა ახლა საერთოდ აღარ შემოდის. იმას რომ ვხალავდით, ზეთი გამოდიოდა. იმ ყავას ბევრს ვერ დალევდი. ახლა მარცვლებში არსებულ კოფეინს წამლისთვის იყენებენ და ბათუმში მარცვალი მის გარეშე შემოდის.